



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოტრიკაძე ნანული გიორგის ასული

კოტრიკაძე ნანული გიორგის ასული (დ. 28. 06. 1945), ბიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი (1996). დაამთავრა სპი-ის ქიმიის ფაკულტეტი, სპეციალობით ორგანული ქიმია (1969). სამეცნიერო კვლევა დაიწყო თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტის ბიოფიზიკის კათედრაზე (1969-დან). 1993-99 იყო სამეცნ.-კვლ. პრობლემური ლაბორატორიის „კანცეროგენების მოლეკულური მექანიზმების“ სამეცნ. ხელმძღვანელი, 1999-2006 - თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტის უზრეული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის გამგე, 2006-09 - თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ტის ბიოლ. მიმართულების ასოც. პროფესორი, 2009-იდან არის ბიოლ. დეპარტამენტის, „უზრეული და მოლეკულური ბიოლოგიის“ კათედრის გამგე, პროფესორი, 2017- დან - ამავე ფაკ-ტთან არსებული უზრეული და მოლეკულური მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (უმში) დირექტორი.

კ-ის სამეცნ. კვლევის სფეროს წარმოადგენს კანცეროგენული ტრანსფორმაციის უზრეული და მოლეკულური მექანიზმების შესწავლა ჰორმონო-დამოკიდებული სიმსივნეების (წინამდებარე ჯირკვალი, სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ტანის) დროს. 2016-18 წლებში ჩატარებულ ნაშრომთა ციკლისათვის კ-ს ავტორთა ჯგუფთან (თ. ჩიგოგიძე, ნ. კოტრიკაძე, მ. ალიბეგაშვილი, ლ. რამიშვილი, ნ. გაბუნია) ერთად გადაეცა ლ. მანაგაძის სახ. I ხარისხის პრემია და დიპლომი (2018).

კ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

თბზ.: უზრეული ბიოლოგიის საფუძვლები, თბ. 2009.; „წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) სიმსივნეების მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები“ თბ. 2012.; კანცეროგენები: უზრეული და მოლეკულური მექანიზმები, თბ. 2018.

